

პრეზიდენტი, ქარვასლა „საქართველოში“, წყლით სარგებლობა ვაჭრობს!

მოსამართლე თუ არა „თბილისის წყალში“ აღებული ფული საპარლამენტო არჩევნებს?

ენიო მანიშვილი
ცვლილება პრეზიდენტის ახალ ბანკარბულებაში

„ნაციონალურმა ბიზნესმა“ წინა ნომერში შემოგთავაზათ მასალა, სადაც საუბარი იყო „თბილისის წყლის“ პრეზიდენტის პროცესში მიმდინარე დარღვევებსა და „მულტიპლექს სოლუსენსის“ ბურუსით მოცულ ისტორიაზე. ამის შემდეგ (10 აპრილს) პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოცხადდა განკარგულება თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რის შედეგადაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრისა და 24 ნოემბრის განკარგულებები.



ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ განკარგულებებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა და ბევრი ცვლილებაა შეტანილი. 23 ნოემბრის განკარგულებაში „რუსთავწყალკანალის“ ფასი იყო 15 მილიონი აშშ დოლარი, 10 აპრილის განკარგულებით კი ფასი დაკლებულია 10 მილიონამდე. ამასთან, საპრეზიდენტო თანხა უნდა გადახდილიყო 4 თანაბარი ტრანშით, ფასის დაკლების სანაცვლოდ საპრეზიდენტო თანხა გაიყო ორ ტრანშში და „მულტიპლექს სოლუსენსმა“ 50% უნდა გადახდის ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დანარჩენი 50% – პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში, ანუ ფაქტობრივად ფასი დააკლეს, თანხის გადახდის ვადები კი შეზღუდეს. რაც ნებისმიერ შემთხვევაში კარს მომდგარ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება, რომლის წარმართვაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაკლებულია საგარანტიო

თანხაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ბანკის მიერ გაცემული 5 მილიონი აშშ დოლარის მხარეთა შორის შეთანხმებული გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომელიც შემცირებულია 20 მილიონამდე, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას საბანკო გარანტიის წარმოდგენა გაუჭირდება. როგორც ჩანს, ამის შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება და ფასი დააკლეს „რუსთავწყალკანალს“, თანხის გადახდის პერიოდი შეამცირეს და საბანკო გარანტიის წარმოდგენა შემცირეს სუთჯერ.

ისიც, რომ წყლის ტარიფის დადგენა სემეკის ვალდებულებებში შედის, პრეზიდენტის განკარგულებაში კი პირდაპირად დადგენილი წყლის ტარიფები, საინტერესოა, ამ შემთხვევაში რა ფუნქცია აქვს სემეკ-ს.

განკარგულებიდან ვიგებთ, რომ წყლის ტარიფების გადახვევა დასაშვებია ელექტროენერჯის ცვლილებების შემთხვევაში. თუ ჩვენ გაითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ყოველ დღე მიმდინარეობს საუბარი ელექტროენერჯის ტარიფის ზრდაზე, ეს ნიშნავს წყლის ტარიფის ავტომატურ ზრდასაც. ასე რომ, ჩვენი დიდი ხელისუფალთაგან უახლოესი მომავალში მართლაც გრანდიოზული სიურპრიზი გველოდება – მოხმარებული წყლის ტარიფი, სულ მცირე, ოთხჯერ გაიზრდება!

306 და რტომ არღვევს ბაიროს კონვენციას

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრეზიდენტის ეს განკარგულება პირდაპირ არღვევს ბაიროს კონვენციას. გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ გაცემული მე-15 ზოგადი კომენტარის 48 მუხლი ითვალისწინებს წყლის სექტორში მიმდინარე რეფორმების ირგვლივ არსებული ინფორმაციის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. ვინაიდან ჩვენ ვართ

გაეროს წევრი ქვეყანა, სახელმწიფო ვალდებულია გაეროს მიერ დადგენილი წესებით იმოქმედოს. საუბედუროდ, თითონ „თბილისის წყალში“ კი არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია, თუ რა ხდება წყლის სექტორში. რაც მიუთითებს იმაზე, რომ პრეზიდენტი ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს ერთპიროვნულად, ეს კი გაეროს კონვენციის უხეში დარღვევაა. აქვე აღინიშნავთ იმასაც, რომ ახალი განკარგულების მიხედვით წყლის ტარიფის გაზრდა არ შეეხება ორგანიზაციებს. სამეცნიერო

ლი ვადით არის გადადებული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თავად EBRD-ს მიერაც დარღვეულ იქნა გაეროს კონვენცია, რადგან არ იქნა განხილული პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება.

კითხვებს ბაღებს თავად პრეზიდენტის განკარგულებაც, რადგან, თუ ტენდერში იმარჯვებს კომპანია, ცხადია, მას ავტომატურად გადაეცემა აღნიშნული ქონება, ამასთან, გაურკვეველია ამ შემთხვევაში პრეზიდენტის ბრძანებულების საჭიროება

გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული პრობლემები

ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენი, რომლის გვარს გასაგები მიზეზების გამო შეგნებულად არ ვასახელებთ, „ნაციონალურ ბიზნესთან“ იმ სერიოზულ დარღვევებზე ამას-

ვიღებს ყურადღებას, რომელიც გამრიცხველიანებასთანაა დაკავშირებული. „ჩვენთან, ორგანიზაციაში მოდიან „თბილწყალკანალის“ წარმომადგენლები და გვაითვლებენ ახალი წყლის მრიცხველების დამონტაჟებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმებით გვემუქებიან. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ ითხოვენ „თბილისის წყლის“ მრიცხველები შევიდნით, რომელიც 700-800 ლარი ჯდება, რეალურად, ბუნებაში არ არსებობს მრიცხველი, რომელიც ასეთი სერიოზული თანხა ეღირება“, – აღშფოთებით საუბრობს იგი.

ჭამაში მადამოსულ უცხოელებს კი ბოლოს გარდაბნის გამწმენდი, „რუსთავწყალკანალი“ და „მცხეთის წყალიც“ „შემოეციდათ“!

საეჭვო მოსაზრება

წინა მასალაშიც ვწერდით, რომ „მულტიპლექს სოლუსენსი“ არანაირი შვეიცარიული კომპანია არაა და სინამდვილეში მის უკან რუსი ბიზნესმენები დგანან. „ნაციონ-

ალურ ბიზნესს“ ეჭვი აქვს, რომ ეს შეიძლება იყოს „რუსენერგო“! ისიც გავივით, რომ „მულტიპლექსს“ სულაც არ სურდა „თბილისის წყლის“ ყიდვა, დაკავშირებული წერილების სერიას. რამდენად კანონიერია ორი განკარგულებით ერთი ობიექტის გაყიდვა, ამას მომავალში გავარკვევთ, ხოლო წყალი ბუნებ-

ის საჩუქარია და ის ერთნაირად ეკუთვნის როგორც პრეზიდენტს, ისე მეზობლებს!

საქართველოს პრეზიდენტი
ბანკარბულება
№ 685 2007 წლის 23 ნოემბერი ქ. თბილისი

შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილისა და შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

„სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად

1. შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცეს აქციებით შემზღვეულ კომპანია „Multiplex Energy Limited“-ს (შემდგენი – მყოფელი) 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, შემდეგი პირობებით:

საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს ოთხი თანაბარი ტრანშით, შემდეგი გრაფიკით:

საქართველოს პრეზიდენტი
ბანკარბულება
№ 702 2007 წლის 24 ნოემბერი ქ. თბილისი

შპს „თბილისის წყლის“ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს „თბილისის წყლის“ 100% წილი აქციებით შემზღვეულ კომპანია „Multiplex Energy Limited“-ს (შემდგენი – მყოფელი) პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცეს 85 000 000 (ოთხმოცდახუთი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, შემდეგი პირობებით:

ა) საპრივატიზებო თანხის 50% გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში, ხოლო დარჩენილი 50% – ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვეში;

ბ) გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის გარეშე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობით (თანხა მითითებულია ლარობით ერთ სულ მოსახლეზე): 2008 წ. – 2,4; 2009 წ. – 2,6; 2010 წ. – 2,9; 2011 წ. – 2,9; 2012 წ. – 2,9; 2013 წ. – 2,9; 2014 წ. – 3,3; 2015 წ. – 3,5; 2016 წ. – 3,7; 2017 წ. – 3,9; 2018 წ. – 4,1;

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება
N 245 2008 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი

ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

„სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცეს შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოება „Multiplex Energy Limited“-ს (შემდგენი – მყოფელი) 10 000 000 (ათი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, შემდეგი პირობებით:

საპრივატიზებო თანხის 50% გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დარჩენილი 50% – პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში;

2. შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცეს მიყიდვის 662 000 (ექვსის სამოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, შემდეგი პირობებით:

ა) საპრივატიზებო თანხის 50% გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დარჩენილი 50% – პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში;

ბ) გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის (ქ. მცხეთა) სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადერი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2008 წელს – 2,4; 2009 წელს – 2,6; 2010 წელს – 2,9; 2011 წელს – 2,9; 2012 წელს – 2,9; 2013 წელს – 2,9; 2014 წელს – 3,3; 2015 წელს – 3,5; 2016 წელს – 3,7; 2017 წელს – 3,9; 2018 წელს – 4,1 (თანხა მითითებულია ლარობით, დღე-ღამეობით);

გ) გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის (ქ. მცხეთა) სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადერი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობისა: 2008 წელს – 0,10; 2009 წელს – 0,22; 2010 წელს – 0,25; 2011 წელს – 0,25; 2012 წელს – 0,25; 2013 წელს –